ირაკლი ღარიბაშვილი: კატეგორიულად ვაცხადებთ უარს ნებისმიერ მოლაპარაკებაზე, რომელიც უკავშირდება რიგგარეშე არჩევნებს

ალიონი. –„ეს გაუთავებელი ურთიერთბრალდებები, ურთიერთშეურცხყოფები არავის სამოვნებს, მაგრამ როდესაც თავს გესხმიან, გაბრალებენ ყველაფერს, გლანძღავენ უშვერი სიტყვებით, არნახული აბსურდული ბრალდებებით, ცილისწამებებით, გიჩნდება ერთად-ერთი სურვილი, უპასუხო და არ დატოვო რეაგირების გარეშე. რა თქმა უნდა, ეს არის კარგად გათვლილი მიზანი, მათ იციან, რომ ეს ყველაფერი მოსახლეობისთვის არის აუტანელი. ასე გაგრძელება შეუძლებელია. მეორე მხრივ, ჩვენ უნდა დავინახოთ პოზიტივი ამ უნიკალურ შესაძლებლობაში. ვთქვათ პირდაპირ, რომ ვერ ვინატრებდით, „ნაციონალური მოძრაობის“ ამ რადიკალური დესტრუქციული ძალების წარმომადგენლები არ შემოსულიყვნენ პარლამენტში. ეს შეიძლება, ყოფილიყო ჩვენი ოცნება, მაგრამ ასე მოხდა ბუნებრივად, მათივე არჩევანითა და სურვილით. თუ მოახერხებენ ოპოზიციის წარმომადგენლები, გაემეჯნონ საკაშვილის ძალადობასა და შანტაჟს, ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით. მზად ვართ კონსტრუქციული თანამშრომლობის-თვის, დიალოგისთვის, ცხარე დებატებისთვის, რაც ჯდება თანამედროვე, დემოკრატიული ქვეყნისთვის მიღებულ პრაქტიკაში. მაგრამ, ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ უარს ნებისმერ მოლაპარაკებაზე, რომელიც უკავშირდება რიგგარეშე არჩევნებს. ეს საკითხი არის დახურული, ეს საკითხი არ განიხილება. მათ არ სურთ არც რიგგარეშე არჩევნები, არც სამართლიანი არჩევნები, არც დემოკრატიული არჩევნები. მათ სურთ ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. სწორედ ამიტომ არიან ისინი გასული კონსტიტუციური ჩარჩოებიდან. სწორედ ამიტომ, უმოკლეს ვადაში, ჩემი ერთ-ერთი პირველი ამოცანა, პრიორიტეტი იქნება, აღვადგინო კონსტიტუციური წესრიგი ამ ქვეყანაში, რომ არავინ იდგეს ამ ქვეყანაში კანონზე მაღლა და კანონი უნდა აღსრულდეს“, – განაცხადა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პრემიერობის კა ნდიდატმა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

პარლამენტმა ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას ნდობა გამოუცხადა

საქართველოს პარლამენტმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე **ირაკლი ღარიბაშვილს** და მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა.

საკანონმდებლო ორგანომ, 89 ხმით ერთხმად დაუჭირა მხარი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას და სამთავრობო პროგრამას „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის".

მთავრობის ახალ შემადგენლობაში ორი ახალი მინისტრია. თავდაცვის მინისტრის პოსტს **ჯუანშერ ბურჭულაძე,** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობას კი **ირაკლი ქარსელაძე** დაიკავებს.

უცვლელი რჩება შვიდი მინისტრი. საგარეო საქმეთა მინისტრი **დავით ზალკალიანი** იქნება, იუსტიციის მინისტრი –**გოჩა ლორთქიფანიძე,** შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს **ვახტანგ გომელაური** დაიკავებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობას კი **ნათია თურნავა.** ფინანსთა მინისტრის პოსტს **ივანე მაჭავარიანი** დაიკავებს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის თანამდებობას **–მიხეილ ჩხენკელი.** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი** იქნება.

საკრებულომ წლევანდელ რიგით მეორე სხდომაზე ათი საკითხი განიხილა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წლევანდელი, რიგით მეორე სხდომა 16 თებერვალს გამართა და დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 10 საკითხი განიხილეს.

იმსჯელეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და თანხმობა მისცეს ამ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ასევე მხარი დაუჭირეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საკრებულოს მუნიციპალიტეტის დაგენილების მისაღებად „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამეუფეო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების თაობაზე“.

მიზანშეწონილად ჩათვალეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებების დაწყება: – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობათა განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 4 (10375) 25 თებერვალი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ბახმაროში ჰესის მშენებლობის პროექტი შეჩერდა

ალიონი. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეაჩერა კომპანია „სი-სი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის პროექტი ბახმაროში „ბახვი I“ 12 მგვტ-იანი ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ.

სამინისტროს განცხადებით, საპროექტო ტერიტორია ემთხვევა გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის წინასწარ მონახაზს, რაზეც სამინისტროს დელეგირებით მუშაობს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა (**WWF**). შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის განთავსების მიზანშეწონილობა საჭიროებს დასაბუთებას;

კომპანიის დირექტორის, **მიხეილ ნიბლაძისთვის** მიწერილ წერილში სამინისტრო წერს, რომ განიხილეს სკოპინგის ანგარიში დადადგინეს, რომ მასში არ არის მოცემული ან დაზუსტებას საჭიროებს რამდენიმე საკითხი:

- დასაბუთებას საჭიროებს აღნიშნულ ტერიტორიაზე ჰესის განთავსების მიზანშეწონილობა, რადგან საპროექტო ტერიტორია ემთხვევა გურიის დაცული ტერიტორიის წინასწარ მონახაზს;

- სამინისტრო ამბობს, რომ დოკუმენტში განხილული უნდა იყოს კლიმატზე ზემოქმედების საკითხები. ბახმარო უნიკალური მიკროკლიმატის მქონე მაღალმთიანი საკურორტო ზონაა;

- გარემოსდაცვითი კუთხით დეტალურად უნდა დასაბუთდეს ჰესის განთავსების უპირატესობა;

- უნდა წარადგინონ მასალები ადგილობრივ უნიკალურ ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების შესახებ;

- ასევე უნდა წარადგინონ სამშენებლო მანქანების გადაადგილებისთვის საჭირო გზების მონაცემი და ხომ არ შეუშლის ეს ხელს საკურორტო სეზონზე დამსვენებელებს;

- სამინისტრო ამბობს, რომ ჰესის ნაგებობები არ უნდა განთავსდეს ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

- სამინისტრო ასევე მოითხოვს, სკოპინგის ანგარიშში გაიწეროს, რა გავლენა ექნება ბიომრავალფეროვნებაზე მდინარის წყლის რეჟიმის ცვლილებას;

- წერილში ასევე წერია, რომ სკოპინგის ანგარიშში განხილული არ არის ხმაურის და ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელების რისკები;

-სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასების და მისი აუცილებლობის დასაბუთების შესახებ ინფორმაცია;

გარდა ამისა, სამინისტრო მოითხოვს, კომპანიამ წარმოადგინოს სეისმოლოგიური შეფასება, მუნიციპალიტეტის პოზიცია, რეგიონში სხვა ჰესების ჯამური ზემოქმედება წყლის რესურსსა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, ეკოლოგიური ხარჯები, ჰესის ინფრასტრუქტურის გავლენა კურორტის წყალმომარაგებასა და კანალიზაციაზე, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქვეყნის ენერგოსისტემაში ჩართვის სქემა და ა.შ;

ამ საკითხების წარმოდგენისთვის კომპანია „სი–სი–ეიჩ ჰაიდრო VI-ს“ 2-თვიანი ვადა მიეცა.

„აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს სკოპინგის დასკვნა. ასევე გთხოვთ, უზრუნველყოთ პროექტის საჯარო განხილვაზე გამოთქმულ შენიშვნებთან და მოსაზრებებთან დაკავშირებით არგუმენტირებული/დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენა“, – ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე **ნინო თანდილაშვილი** აწერს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საკრებულომ წლევანდელ რიგით მეორე სხდომაზე ათი საკითხი განიხილა

დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად;

– „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკრებულოს დადგენილების მისაღებად;

– „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის შესახებ“ – საკრებულოს დადგენილების მისაღებად;

– „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად;

– „ზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ – საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მიიღეს განკარგულებები:

– „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 201-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“;

–„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტროული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით „ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მპმზადების პროცესში“ –მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“.

ცნობად მიიღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ინფორმაციის სახით წარდგენილი მასალები „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კორუფციის რისკების შეფასების სისტემა დაინერგება

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კორუფციის რისკების შეფასების სისტემა დაინერგება. ამ საქმეში ოზურგეთის მუ-ნიციპალიტეტს მხარდაჭერას აღმოუჩენს **USAID GGI.** ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელმა **ნანა თავდუმაძემ** ფოლკლორის ცენტრში დღეს გამართულ საკრებულოს სხდომაზე განაცხადა;

*„ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძიმეწონიან ამოცანას, რომლის ეფექტიანი განხორციელებაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს კორუფციასთან ბრძოლაში. კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანარგვის პროცესში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა იგეგმება მაღალი ექსპერტიზისა და კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციის**USAID GGI-**ის. დაკონტრაქტებით, რომელიც სხვა პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან (თბილისი, ახალციხე, ბათუმი, გორი, ლაგოდეხი, სენაკი, თელავი, ზუგდიდი) იმუშავებს ამ მიმართულებით“.* – თქვა **ნანა თავდუმაძემ.**

შემოქმედის საჯარო სკოლაში სასმელი წყლის საფილტრი დანადგარი დამონტაჟდა



„მიუხედავად არაერთი მცდელობისა, შემოქმედის საჯარო სკოლაში, წლების განმავლობაში ვერა და ვერ გვარდებოდა მოსწავლეთა სასმელი წყლით უზრუნველყოფის პრობლემა. დღემდე არ გამნელებია ის დადებითი ემოცია, როცა ქალბატონი **ლელა იმედაშვილი** დამიკავშირდა და მითხრა, რომ აღნიშნულ პრობლემის მოგვარებას გვპირდებოდა ბატონი **ზაურ ოსეფაიშვილი.** ბატონმა ზაურმა ადგილზე დაათვალიერა სკოლაში არსებული წყლის სისტემა და თქვა- „თქვენ სასმელი წყალი გექნებათ“! მოკლედ მესაუბრა პროექტის- „სუფთა წყალი ბავშვებს“ შესახებ, რომელიც ხორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაცია-კავშირი „შალომ-კლუბ გურია“-ს მიერ და ფინანსდება ისრაელის „**MASHAV**“-ის თანამშრომლობით. პროექტი ითვალისწინებდა მაღალი ტექნოლოგიის სასმელი წყლის საფილტრი დანადგარის დამონტაჟებას, რომელიც საათში 500 ლიტრ წყალს ფილტრავს ქლორისა და ყოველგვარი ქიმიური საშუალებების გამოყენების გარეშე. დანადგარი სასმელ წყალს ასუფთავებს ყველა სახის ინფექციური ბაქტერიებისაგან. დღეს, შემოქმედის საჯარო სკოლას სასმელი წყლის პრობლემა აღარ აწუხებს, რისთვისაც უზომოდ მადლიერები ვართ.

ბატონო ზაურ, მადლობას გიხდით შემოქმედის საჯარო სკოლის მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული თითოეული პერსონალის სახელით იმისთვის, რომ ეხმარებით საგანმანათლებლო სისტემას მსგავსი პრობლემების მოგვარებაში!

გულითადი მადლობა ქართველი ხალხის 26 საუკუნოვან მეგობრებს - ებრაელ ხალხს თავიანთი დანაზოგით სხვაზე ზრუნვის საუკეთესო მაგალითისთვის!

მადლობა ისრაელის საელჩოს მსგავსი პროექტების მხარდაჭერისა და განხორციელებისთვის!“ – წერს **ნინო სადრაძე,** სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლის დირექტორი

„ლიტერატურული გურიას“ კონკურსში მონაწილეთა საყურადღებოდ!

გარკვეულ გარემოებათა გამო, გადაიწია საკონკურსო ნაწარმოებების წარმოდგენის ვადა. კონკურსანტებს რედაქციისთვის საკონკურსო მასალების მოწოდება შეუძლიათ 20 მარტამდე, ნაცვლად გამოცხადებული 28 თებერვლისა.

შეგახსენებთ, რომ გაზეთმა „ლიტერატურული გურია“ გამოაცხადა კონკურსი სახელწოდებით „მარტის თვეა შენი“...

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული გურიის საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და გურიაში მოქმედი კოლეჯების სტუდენტებს.

კონკურსში მონაწილე მოსწავლეები გაერთიანდებიან უმცროს, საშუალო და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში (შესაბამისად IV-VI, VII-X და XI-XII კლასელები). უფროს ასაკობრივ ჯგუფში, სკოლების მოსწავლეებთან ერთად, წარმოდგენილი იქნებიან კოლეჯების სტუდენტები.

კონკურსი ჩატარდება როგორც პოეზიაში, ისე პროზაში, საკონკურსოდ კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ თითო ლექსი და ესსე. ესსეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორ ნაბეჭდ გვერდს. კონკურსის გამარჯვებულებს გამოავლენს ჟიური. გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყვეყნდება გაზეთ „ლიტერატურულ გურიაში“. ავტორები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებითა და შესაბამისი სიგელებით.

კონკურსში მონაწილეობა ფასიანია.

მონაწილეებმა საკონკურსო მასალები უნდა წარმოადგინონ „ლიტერატურული გურიას“ რედაქციაში მისამართზე: ოზურგეთის გაბრიელ ეპისკოპოსის № 3. ტელ. 599 37 37 15; ან მოგვაწოდონ ელექტრონულ ფოსტაზე tem52@mail. ru

„ლიტერატურული გურიას“ რედაქცია,

ირაკლი კობახიძის განცხადება ნიკა მელიას დაკავების თაობაზე

23 თებერვალს, დილით სპეციალური დანიშნულების რაზმმა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია დააკავა.

სამართალდამცავებმა ნიკა მელია პარტიის ოფისში, საკუთარ კაბინეტში აიყვანეს. მანამდე კი აღნიშნულ ოთახში, ისე როგორც მთლიანად პარტიის ოფისში სამართალდამცავებმა ე.წ.წიწაკის სპრეი გაუშვეს.

სპეცოპერაცია გამთენიისას დაიწყო. მელიას აყვანამდე სამართალდამცავებმა პარტიის ოფისში მყოფი მოქალაქეები და მათ შორის პარტიის ლიდერები გარეთ გამოიყვანეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში რამდენიმე დღის განმავლობაში ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო აქტივისტები იმყოფებოდნენ, რომლებიც ნიკა მელიას იცავდნენ.

ოპოზიცია ნიკა მელიას დაჭერის გამო საპროტესტო აქციებს აანონსებს, ხოლო პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** პარტიის ოფისში განაცხადა, რომ *„რადიკალებისთვის პასუხის გაცემა, კანონის აღსრულება და დემოკრატიული კონსტიტუციური*

წესრიგის დაცვა არის ერთადერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ პოლიტიკაში პოლარიზაციის დასრულებას და დემოკრატიული პროცესების სწორი მიმართულებით განვითარებას“.

„სამწუხაროა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე, ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვჭირდა ანტისახელმწიფოებრივ ძალებთან იმის დამტკიცება, რომ ეს არის სახელმწიფო, თუმცა სახელმწიფომ დღეს ეს დაამტკიცა. დღეს, 23 თებერვალს, წითელი არმიის დღეს, წითელი პარტიის ბოლშევიკები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ ქართულ სახელმწიფოს, თუმცა დადასტურდა, რომ თანამედროვე ბოლშევიკები - მიხეილ საკაშვილები, ნიკა გვარამიები, გიგა ბოკერიები, ნიკანორ მელიები, ნინო ბურჯანაძეები, ნატო ჩხეიძეები და ირაკლი ოქრუაშვილები - ქართულ სახელმწიფოს ვერაფერს დააკლებენ“, - განაცხადა კობახიძემ.

შეხვედრა ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე

სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი სახოკია,** მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის სარეფორმო მიმართულების ფარგლებში, ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელს **რეზო ჩარკვიანს** შეხვდა. შეხვედრაზე ის მთავარი საკითხები და მიღწეული შედეგები იქნა განხილული, რაც სააგენტოსა და საპილოტე მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით გაკეთდა; მათ შორისაა, მუნიციპალიტეტში ჩატარებული ახალგაზრდების საჭიროებებების კვლევის შედეგების განხილვა, რომელზე დაფუძნებითაც ახალგაზრდობის სტრატეგიის დოკუმენტი შეიქმნა. აღნიშნული დოკუმენტი საჯარო განხილვების ეტაპზეა, რის შემდეგაც ის უახლოეს თვეებში საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინება. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის შენობაში მცირე ახალგაზრდული სივრცის გახსნა იყო, რაც ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს; სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიის თანამ-შრომლობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისთვის გაიხსნება სივრცე, რისთვისაც სააგენტომ პირველადი ტექნიკური რესურსი და ექსპერტული დახმარება გამოყო, რათა ახალგაზრდული სივრცეების კონფეფცია სწორად და მიზნობრივად დაიგეგმოს.

შეხვედრა სახალხო დამცველის მოადგილესთან

სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი სახოკია** დღეს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეს **ეკატერინე სხილაძეს** შეხვდა. მხარეები მჭიდრო ურთიერთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ და სამომავლო პერსპექტივები დასახეს სხვადასხვა მიმართულებით. გიორგი სახოკია სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა მუშაობის სპეციფიკას გაეცნო.

შეხვედრაზე რეგიონში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობა განიხილეს; აღინიშნა, რომ ისევ გამოწვევად რჩება ოჯახში ძალადობა და ძალადობის მსხვერპლთა შემდგომი ინტეგრაცია, ამიტომ აუცილებელია კოორდინირებული მუშაობა შესაბამის უწყებებს შორის, განსაკუთრებით, კი სახალხო დამცველის ოფისთან.

საუბარი შეეხო, ასევე, გარემოს დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს, ბავშვთა შრომით მიგრაციას და რეგიონში არსებულ სოციალურ ფონს.

შეხვედრას სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს წარმომადგენლები თამარ იგანოვა და მადონა ბასილაძე დაესწრნენ.

ახალგაზრდობის სააგენტომ მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, ოზურგეთში მცირე ახალგაზრდული სივრცე გახსნა

ახალგაზრდობის სააგენტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში, მცირე ახალგაზრდული სივრცე გახსნა.

როგორც სააგენტოში აღნიშნავენ, ამისთვის სააგენტომ პირველადი ტექნიკური აღჭურვილობა და ექსპერტული დახმარება გამოყო, რათა ახალგაზრდული სივრცეების კონცეფცია სწორად და მიზნობრივად დაიგეგმოს. აღნიშნული სივრცე ფუნქციონირებას გაზაფხულიდან დაიწყებს.

—„მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული სივრცის არსებობის საჭიროება, ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს, რომელიც სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობით, ჩატარდა. სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგები დაედო საფუძვლად, ადგილზე სტრატეგიის დოკუმენტს, რომელიც საჯარო განხილვების ეტაპს გადის და უახლოეს პერიოდში საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები სოფელ ბოხვაურსა და დვაბზუში

ადგილობრივებმა ოზურგეთის მერთან, **კონსტანტინე შარაშენიძესთან** ერთად 2021 წელს გამოყოფილი თანხის ფარგლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტები დაასახელეს, ესენია: სოფლის ცენტრების რეაბილიტაცია, სასოფლო კლუბის სარემონტო სამუშაოები და სანიაღვრე არხების მოწყობა.

შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით ჩატარდა.

მოსახლეობასთან კრება-კონსულტაციები 15 თებერვალს დაიწყო და 4 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

ალიონი 90

1936 წელი

სტახანოველების ბინებში რადიო –დადგმულობანი

მახარაძის ჩაის ფაბრიკის დირექცია და მუშათა კომიტეტი (დირექტორი გ. ცინცაძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე რ. ჯახუტაიშვილი) უდიდეს ყურადღებას აქცევენ რადიოფიცირების საქმეს. ფაბრიკის კლუბში, სასადილოში და მუშათა ბინებში უკვე მოაწყვენ რადიო წერტები, და გარდა ამისა, 8 სტახანოველ მუშას კერძო ბინებში დაუდგენ რადიო.

ახლად დადგმული რადიოები საუკეთესოდ მუშაობენ და მუშები თავისუფლად ისმენენ მოსკოვის, ტფილისის და ადგილობრივ გადაცემებს.

საჭიროა დანარჩენი ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებმა და მუშათა კომიტეტებმა მიბაძონ მახარაძის ჩაის ფაბრიკის მაგალითს.

რადიო მტს-ს სტახანოველებს

მახარაძის მ.ტ.ს დირექციამ და მუშათა კომიტეტმა რადიო დადგმულობით დააჯილდოვა სტახანოველი მუშები ამხ. **სევარიან ქარცივაძე, ვალია ცხომელიძე, შურა კაზანცევი** და სხვები.

№11, 12 მარტი, 1936 წ.

მცირეწლოვანებს ზედმეტად ამუშავებენ

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სისტემად გადაიქცა მცირეწლოვანთა ზედმეტ საათებში მუშაობა, რაც მავნებელია ბავშვის ჯანმრთელობისათვის. ამ არანაორმალურ მდგომარეობას ადგილობრივმა კ.კ. ორგანიზაციამ დროულად მიაქცია ყურადღება, დასვა საკითხი და დადგენილება გამოიტანა მცირეწლოვან ბავშვებისათვის ნორმალურ პირობების შექმნის და მათთვის შესაფერისი სამუშაოს მიცემის შესახებ, მაგრამ ამაოდ. ამ მხრივ მდგომარეობა მაინც არ შეიცვალა და განაგრძნობენ ამ მახინჯ პრაქტიკას.

მოზარდებზე გულისხმიერებას არავინ იჩენს, არის შემთხვევა, როცა სამუშაოდან დაბრუნებული მოზარდები რამდენიმე დღეს არ მიდიან შინ, მაგრამ ამის მიზეზის გამოკვლევაზე ადმინისტრაცია თავს არ იწუხებს.

საჭიროა ადგ. პარტორგანიზაციამ და კომკავშირის რაიკომმა ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

ახალი ბაღი

ქალაქი მახარაძე სწრაფი, ბოლშევიკური ტემპით იცვლის სახეს. ორსართულიანი სახლები, ფართო, სწორი მოკირწყლული ქუჩები, ფაბრიკები, ქარხნები, ბაღები, ხეივნები –აი, დღევანდელი სახე მახარაძისა.

ამ ერთი თვის წინათ ქალაქის ცენტრში აღებული იქნა 40-მდე დარაბა-სამჭედურები, მის ნაცვლად 1.700 კვადრატულ მეტრზე შენდება დეკორატიული ბაღი-ხეივანი თავისი აუზ-ფანტანით.

ბაღის გაშენება ჯდება სულ 35.000 მანეთი და დამთავრდება აპრილის პირველ რიცხვებში.

ხიდი შეუკეთებელია

1934 წელს მდინარე სუფსაზე გაკეთდა ხიდი, რის შემწეობით ჯუმათისა და სილაურის სოფსაბჭოების მოსახლეობა სარაიონო ცენტრს ადვილად უკავშირდებოდნენ, მაგრამ ხიდი გაფუჭდა (ჩამტვრეულია ფიცრები) და მასზე გასვლა ურმით და მანქანით შეუძლებელი ხდება.

საჭიროა აღნიშნულმა სოფსაბოებმა ხიდი დროულად შეაკეთოს.

სან. ჩხარტიშვილი

პასუხი უნდა მოეთხოვოს

ბახვის სოფ-საბჭოში კოო.ჰ.გამგეობის უუნარო მუშაობის შედეგად რამდენიმე სოფლის სავაჭრო დუქნებში არ არის მომარაგებული სავალდებულო ასორტიმენტით. მაგ: **მშვიდობაურის** კოოპერატივს მთელი ორი კვირა შაქარი არ ქონია. კოლწევრებს 3-4 კილომეტრზე უხდებოდათ წასვლა შაქრის საყიდლად. ასეთივე მდგომარეობაა ოქროსქედის კოოპერატივშიც.

ოქროსქედის კოოპერატივი, რომელიც უზრუნველყოფილია პურის საცხობით, ფქვილის უქონლობის გამო სისტემატურად პური არ ცხვება, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში. ამ საქმეში დამნაშავე პასუხისგებაში უნდა მიეცეს.

ვ. სარიშვილი

№12, 18 მარტი, 1936 წ.

მომღერალთა გუნდი

ცხემლისხიდისა და ბაღდადის კოლმეურნეობასთან ჩამოყალიბებულია გურულ მომღერალთა გუნდი.

გუნდს ხელმძღვანელობას დამსახურებული მოსიმღერე ამხ. **ნიჟა ლომინაძე,** რომელმაც უკვე შეასწავლა გუნდს 15 სხვადასხვა სიმღერა.

ტანსაცმლის და სხვა მოწყობილობის შესაძენად კოლმეურნეობამ გუნდისთვის გაიღო 2000 მანეთი.

გუნდმა ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და მაყურებლებს შორის კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მიხა ლომინაძე

№13, 24 მარტი, 1936 წ.

გვარჯალაძე შეუფასებლობას იჩენს

პარტიის წევრმა ილარიონ გვარჯალაძემ მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი პირობები მოეპოვება მაინცუარი განაცხადა აბრეშუმის ჭიის დაჯენაზე და მიზეზათ დაასახელა დროის უქონლობა. აბრეშუმის საქმის ასეთი შეუფასებლობა გვარჯალაძეს არ უნდა ეპატიოს.

სასტიკად უნდა დაისაჯოს

ცხემლისხიდის სოფლსაბჭო ზომებს არ ღებულობს თუთის ხის გამნადგურებლების წინააღმდეგ. პეტრე ქერქაძემ მოჭრა საუკეთესო მოსავლიანი 7 თუთის ხე, პასუხი კი მისთვის არავის მოუთხოვია. მოქ. პეტრე ქერქაძე თუთის ხის განადგურებისათვის სანიმუშოდ უდა დაისაჯოს.

ჩაის პლანტაციას პირუტყვი ანადგურებს

შრომის კოლმეურნეობის №2 ბრიგადაში არის ერთ-ერთი ჩაის პლანტაცია, რომელიც შემოუღობავია და პირუტყვი ანადგურებს. ამას ხედავს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გიორგი გაგუა და არ ღებულობს გადამჭრელ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კოლმეურნეობის გამგეობამ და უბნის აგრონომმა ამ მდგომარეობას უნდა მიაქციოს ყურადღება და დამნაშავე უნდა იქნას მიცემული პასუხისგებაში.

კომკავშირელი

№16, 8 აპრილი, 1936 წ

37 ახალგაზრდა ტექნოლოგი

17 აპრილს ჩაის ტექნიკუმმა გამოუშვა 37 ტექნოლოგი.

კურსდამთავრებული ახალგაზრდა ტექნოლოგები გადანაწილდა ჩაის ფაბრიკებში, სადაც ისინი 22 აპრილიდან დაიწყებენ მუშაობას.

ი. შევარდნაძე

როყუა უნდა დაისაჯოს

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მე-20 ბრიგადის ბრიგადირი **სიმონ მეგრელიშვილი** ნაკლებ ყურადღებას აქცევს ჩაის პლანტაციების დაცვას.

მისი ბრიგადის ფართობში კერძო პირმა **ლუკა როყუამ** 28 მარტს საყანე მიწის მოწმენდის დროს გადაწვა 30 ძირი ჩაის საუკეთესო ბუჩქი, პასუხი კი არავის მოუთხოვია.

ასეთი მოქმედებისთვის როყუა უნდა დაისაჯოს.

ბარაკელი

№19, 24 აპრილი, 1936 წ.

დედის განცდა

2 ივნისს, საღამოს 7 საათზე ნატანების კლუბი გაჭედილი კოლმეურნეებით, მშრომელი ქალებით და მამაკაცებით.

დღის წესრიგსი იდგა მეტად სერიოზული საკითხი: საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილების პროექტის განხილვა აბორტის აკრძალვის, მრავალსულიანი ოჯახის მატერიალური დახმარების, განქორწინების საქმეში ზოგიერთი ცვლილების შეტანის და სხვათა შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა **ამხ. ს. ლომაძე,** რომელმაც დეტალურად განმარტა კანონ-პროექტის თითოეული პუნქტი.

მშრომელი ქალები ერთხმად გამოეხმაურნენ და მოიწონეს მათ საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება.

დამკვრელმა კოლმეურნე ქალმა **ტერეზა ცენტერაძემ,** შემდეგი განაცხადა: *„მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეიძლება ქალი იყოს ბედნიერი, მხიარული და დედამ განიცადოს შვილების შინაარსიანი სიყვარული“*-ო.

ასევე მკაფიო და მხურვალე სიტყვებით გამოვიდნენ: **ანუშკა კვაჭანტირაძე, ლაზარე ბაჯელიძე, თებრონე ქარცივაძე, თეკლე თავაძე, ქსენია გორგილაძე** და სხვები.

ჭ. ხომერიკი

№30, 13 ივნისი, 1936 წ.

ექიმი გუგუნავა უმტკივნეულო მშობიარობა

ყველასათვის ცნობილია ის, რომ უმტკივნეულო მშობიარობა მასიურად ტარდება საბჭოთა კავშირში.

ბურჟუაზიულ არც ერთ სახელმწიფოში უმტკივნეულო მშობიარობის ჩატარებას არა აქვს მასიური ხასიათი და ასეთი ბედნიერება მიუწვდომელია მშრომელი ქალებისათვის. ბურჟუაზიული მეცნიერები „ამტკიცებენ“,რომ შეძლებული კლასის ქალები უფრო სათუთი და მგრძნობიარეაო, და მათი აზრით მშრომელი ქალები –მუშის ცოლები მიაჩნიათ უგრძნობო და უხეშად, რომელთაც შეუძლიათ საშინელი ტკივილების „ადვილად“ ატანა.

პროლეტარი ქალების მიმართ ასეთი დამამცირებელი და ყალბი დასკვნებიდან გამომდინარე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში უმტკივნეულო მშობიარობა მხოლოდ და მხოლოდ „რჩეულთა“ ხვედრია.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის მზრუნველობით და მითითებით საბჭოთა მედიცინამ შეძლო უმტკივნეულო მშობიარობა გაეხადა მასიური და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

დღეს საბჭოთა ქალს არ უნდა ეშინოდეს იმ საშინელი ტკივილების, რომელიც გამოწვეული იყო მშობიარობის დროს და ის ხალისით უნდა ეგეგებოდეს დედობას.

არც მახარაძის რაიონია მოკლებული ამ ბედნიერ საქმეს. ჩვენს საავადმყოფოში მშობიარობის უმტკივნეულოდ ჩატარების ყველა შემთხვევამ საუკეთესო ეფექტი მოგვცა და როგორც დედები, ისე საექიმო პერსონალი კმაყოფილნი დარჩნენ.

უმტკივნეულო მშობიარობის ჩატარებით არავითარი ზიანი არ შეიძლება გამოწვეული იქნეს; დედის ორგანიზმს უკეთდება ტკივილების გამაყუჩებელი ნივთიერება იმ რაოდენობით, რომ მას არ შეუძლია რაიმე ზიანი მიაყენოს დედას ან ბავშვს და ბოლოს უნდა ითქვას, რომ საამურ ცხოვრებასთანე ერთად უმტკივნეულო მშობიარობა ბედნიერებაა დედებისათვის.

№32, 14 ივნისი, 1936 წ.

ქალაქის რეკონსტრუქცია სწორი და ფართო ქუჩები

„თუ გინდა გაეცნო ქალაქს –შეხედეთ ქუჩებს“-ო წერდა ერთი ფრანგი მწერალი. არ ვიცი, რომელ ქალაქებზე და ქუჩებზე ლაპარაკობდა იგი, მაგრამ ერთი კი ცხადია: კარგად ნაშენები და კულტურულად მოვლილი ქუჩები ბევრის უენო მღაღადებელია.

ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობა საბრძოლო ამოცანად არის გადაქცეული (ამ ბოლო დროს არც კოლმეურნეობები იხევენ უკან!) 12 მაისს დაყებული იქნა ნატანების ქუჩის კაპიტალური მშენებლობა (1700 მეტრი მანძილზე) მისი საერტო ღირებულება უდრის ნახევარ მილიონ მანეთს. ქუჩის სიგრძე იქნება 26 მეტრი ორივე მხარეს მოეწყობა ტროტუარი ყვავილოვანი გაზონებით.

ლენინის მოედნიდან რკინიგზის სადგურამდე ახლებურად კეთდება ორჯონიკიძის ქუჩა, ეს იქნება „თეთრი გზა“თავისი ტროტუარებით, მშენებლობაზე დაიხარჯება სულ 100,000 მან.

მიმდინარე წელს ქალაქის ყველა ცენტრალური ქუჩას გაუკეთდება მსუბუქი რემონტი, რაზედაც დაიხარჯება 20,000 მანეთი.

წყარო ანკარა

წყაროს წყალი ცივი, ანკარა, მარტო ზაფხულში როდის არის სანატრელი, ქალაქ მახარაძეს კი დღემდე არ ჰქონდა იგი. მაგრამ უნდა დარჩეს აუცილებლად.

ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა: გეოლოგიური გამოკვლევანი, პროექტების და ხარჯთაღრიცხვის შედგენა და სხვ. დიდი ხანია დამთავრდა.

აი, უკვე პირველი ივლისიდან ვიწყებთ პრაქტიკულ მუშაობას წყალსადენის გამოსაყვანადო - განაცხადა ინჟინერ კვიტაიშვილმა.

–ქალაქიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, მაკვანეთის ჭალაში, მდინარე ბჟუჟის ბჟუჟის ბუნებრივი ფილტრატიდან წყალი მიიღება სათავე ნაშენში, (მიმღები ჭები) შემდეგ აუზში –საიდანაც საქაჩავი სადგურის მიერ ამოიქაჩება იგი და ანკარა წყაროს წყალი წამოვა ქ. მახარ-აძისკენ...ჯერჯერობით ქალაქის მოსახლეობისთვის საჭირო იქნება 82,000 ვედრო წყალი წყალი დღე-ღამეში, არის მარაგი ჭარბად –15 წლის სამყოფი.

წყალსადენის მშენებლობაზე დაიხარჯება სულ 900,000 მანეთი, ეს მშენებლობა უნდა დამთავრდეს ორი წლის განმავლობაში.

ბ. ფ-ლი

№35, 26 ივნისი, 1936 წ.

პავილიონი

„საქკონსერვტრესტიო“ მახარაძის რაიგანყოფილება (მმართველი ამხ. ბ. ღლონტი) ნატანებში აგებს ციტრუსების გადამმუშავებელ პავილიონს.

დღემდე ციტრუსების ნაყოფთა გადამუშავება ხდებოდა პრიმიტიული წესით. პავილიონის აგების შემდეგ კი მოხდება ციტრუსების ნაყოფთა მექანიზაციით გადაუშავება.

მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 372 ათასი მანეთი.

ვ. იანი

(გაგრძელება იქნება)

ექსკლუზივი

ნასაპირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ გაზ. „ალიონი“ №№ 34, 35, 36 2020 წ. №№1, 2, 2021 წ

ღვინო ქედის ჩხავერია, ხუთი წლის, თქვენზე კარგ სტუმრებს ვის დავალევინებ. არაფერი მიყიდია, სახლის თიკანი, მჭადი, ყველი, ნადუღი პიტნით, ბორანო, მოხარშული დედალი და ტაფამწვარი. ეს ყველაფერი ოჯახური სარჩოა. ახლა დავსხდეთ და სანამ ჯემალის ვინაობას არ გამოიცნობთ, აქედან ფეხს ვერ მოიცლით.

— მართალი გითხრა, მომშივდა, მაგრამ მამუკას ამბავი ჩემზე უკეთ გეცოდინება, გზაში სულ იმას მეუბნებოდა, საქმეს რომ მოვრჩებით, მაშინვე წამოვიდეთ, არ შევაწუხოთ მასპინძლებიო. ახლა ვატყობ, ჯემალის ამოცნობა გაჭირდება. –მხარზე ხელი დაადო მასპინძელს თამაზმა.

მეგობრული პურისჭამა კარგა ხანს გაგრძელდა. მშვიდობის სადღეგრძელოს შემდეგ ბორის ჟღენტის მოსაგონარი შეისვა. შეთახმდნენ, რომ ამ საქმის გახსნისა და საბოლოო განაჩენის შემდეგ ოზურგეთში შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

დაიწყო ინტენსიური მუშაობა ამ საქმის ირგვლივ. ღამის 24-საათიან რეჟიმში მუშაობს მილიცია, შაუღამემდე ანთია შუქი პროკურატურაში. უმნიშვნელო დეტალებსაც კი არ ტოვებენ უყურადღებოდ. ოპერები მთელი დღის განმავლობაში იღებენ ინფორმაციას სოფლის მცხოვრებლებისგან, ყველაზე მეტად აინტერესებთ, ვისთან ჰქონდათ ურთიერთობა კრიმინალებს, ვინ დადიოდა ხშირად მათთან.

სასამართლო ექსპერტმა დაამთავრა მუშაობა სოფელში. სახლიდან და რწმუნებულის ოთახიდან ყველა საჭირო ანაბეჭდი აღებულია. სახლში ჭიქაზე, ბოთლსა და დანაზე აღებული ანაბეჭდები ოთახში აღებულის იდენტურია. ეს ანაბეჭდები უტყუარად ბორის ჟღენტისაა. რწმუნებულის ოთახში სხვა ვერაფერი აღმოაჩინეს, სახლში კი ჭიქაზე იყო სხვა ანაბეჭდი, რომელიც სავარაუდოდ მარტიკიანისაა. იყო თუ არა ამ დროს სხვა ვინმე სახლში — ეს გამოძიებისთვის ჯერჯერობით უცნობია. ნაპოვნი არ არის ის ბასრი იარაღი, სავარაუდოდ ნაჯახი, რომელიც კეფაში ჩაარტყეს რწმუნებულს. სოსო აქტიურობს და თანამშრომლებსაც არ აძლევს დასვენების საშუალებას, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, იარაღი უნდა ვნახოთ, რომლითაც მოგვიკლეს ბორისი. მკვლელი სისხლიანი ნაჯახით ხომ არ წავიდოდა, სადღაც იქვე დააგდებდა. ორ ოპერს დაავალა, სოფლის აქტივისტები წაეყვანა მკვლელობის ადგილას და კარგად დაეთვალიერებინათ მიმდებარე ტერიტორია, სადმე ხომ არ იყო გადაგდებული მკვლელობის იარაღი. თვითონ კოლმეურნეობის შენობისკენ წავიდა და რწმუნებულის ოთახში შევიდა. ალღოიანი კაცი იყო სამძებროს უფროსი, იშვიათად ღალატობდა წინათგრძნობა. ახლაც ჟღენტის საქაღალდე გადმოიღო, სამი საათი ოთახიდან არ გამოსულა, ათვალიერებდა სურათებს, ეცნობოდა ჩანაწერებს. გონებაში ათასგვარ რამეს ხარშავდა. აეკვიატა ერთი აზრი: ზედმეტად არ უნდა გადაყვე ადამიანს, თორემ დაინახავ, რომ დიდი სისულელე ჩაიდინე. რატომ მოუვიდა ეს აზრი, ვერ მიხვდა. საქაღალდე სწრაფად დახურა და ჯემალ ანთიძის სახლისკენ გაეშურა ნელი ნაბიჯით... არც დაუძახია, პირდაპირ შევიდა ეზოში, მივიდა სახლთან, გამოაღო კარი და ოთახში შევიდა. ცეცხლთან ისხდნენ მოხუცები და ჯემალის მეუღლე.

— ჯემალი სადაა?

— არაა სახლში.

— სადაა და როდის წავიდა?

— ქალაქშია, თქვენ ვინ ხართ?

— რომ დაბრუნდება, მილიციაში მოვიდეს, სამძებრო განყოფილების უფროსი ვარ. იქ ველოდები, მეორედ არ ამომიყვანოს.

— დააშავა რამე, უფროსო?

— მან უკეთესად იცის, რა ჰქნა.

— გადავცემ.

გამოიხურა უფროსმა კარი და გზად მომავალი ფიქრობდა, მოახდინა თუ არა შთაბეჭდილება ოჯახის წევრებზე. ვნახოთ, ჯემალისთან შეხვედრისას გამოჩნდება. ისევ რწმუნებულის ოთახში შევიდა, საქაღალდეები აიღო, მანქანაში ჩაჯდა, სამძებროს ორი გამოთავისუფლებელი თანამშრომელი ქალაქში წამოიყვანა.

— სერგო, ახალი ხომ არ არის რამე? — მიმართა პროკურორმა გამოძიებელს.

— სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა გვაქვს მარტიკიანის სახლში აღებული ხელის ანაბეჭდები ბორის ჟღენტისაა.

— ახლა უნდა დავადგინოთ, ამ მომენტში ისინი მარტო იყვნენ სახლში თუ არა. ქალები, როგორც ვვარაუდობთ, წასულები უნდა ყოფილიყვნენ. გვინდა მოწმე, ვინც დაგვიდასტურებს, რომ ქალები ამ დროს სახლში არ იყვნენ. ჟღენტი მარტიკიანთან დაახლოებით სამის ნახევარზე მივიდა. სად და რა მიმართულებით უნდა წასულიყვნენ ისინი? აი, ეს არის ამოცანა. შემთხვევითი მანქანით არ წავიდოდნენ. სავარაუდოდ, დიდი ფული ჰქონდათ და მანქანის დაქირავება არ გაუჭირდებოდათ. უნდა დავაზუსტოთ მანქანა. არ შეიძლება ვინმეს არ დაენახა გზაზე მიმავალნი. როცა მანქანას მოვძებნით, იქვე უნდა დავაზუსტოთ, სად წაიყვანა მძღოლმა მგზავრები. იქნებ მართლა ბაკურიანში წავიდნენ? არა, ეს გამორიცხულია, მაგრამ ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. მოკლედ, სერგო ხომ ჩაინიშნე ყველაფერი? კავშირი არ გაწყვიტო სამძებროსთან. ყველა დაკითხე, ვინც მარტიკიანთან დადიოდა.

გამომძიებელმა ყველაფერი ჩაინიშნა და ოთახიდან გავიდა. ისევ ფიქრებში წავიდა პროკურორი, მარტიკიანი აორთქლდა, მაგრამ დანარჩენი სამი? ის სამი სად წავიდა? ნუთუ აჭარაში გადავიდნენ და?.. ამ ზამთარში თითქმის გამორიცხული იყო საზღვრის გადაკვეთა. რუსეთი? იქ პანფილოვას ეძებენ, არ წავიდოდა. საიუველირო საქონლის რეალიზება თუ მოასწრო, დიდი ფული ექნება, თუ ვერა — მაშინ ოქრო და ბრილიანტი. კი, მაგრამ აქ მარტიკიანი რა შუაშია? ამათთან რა უნდოდათ ქალებს? ადრე იცნობდნენ ერთმანეთს და ვინმემ გამოუშვა თავის შესაფარებლად? ფიქრი აღარ განაგრძო, რადგან აზრი ცუდად მთავრდებოდა და მისი წარმოდგენაც არ უნდოდა.

— დავიდიჩ, ვიღაც ჯემალი ვარო და შემოვიდეს?

— გამოუშვი.

შევიდა და გაეცნო უფროსს.

— დაჯექი. — მოკლედ მოუჭრა სოსომ და შეუდგა დასაკითხზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას

— როგორ არ გვითხარი, მარტიკიანთან ასე ახლოს რომ იყავი და ნაქურდალს უმალავდი? ხომ იცი, „სროკზე“ მიდიხარ, შე ბოზო. 10 წელი ციხეში იქნები და როგორიც შეხვალ იქ, ამას მე დაგანახებ. შენს ცოლს კი საყვარლებს არ მოვაკლებთ. ამას გპირდები.

— ჩემგან რა გინდათ?

— დაწერე ყველაფერი, რაც მოხდა და სასჯელს შევამსუბუქებთ.

— რა დავწერო?

— ერთი მორიგე ოპერს დამიძახე, გოგი, გუშინ მარტიკიანი რომ დაამუშავა. — თვალი ჩაუკრა თანამშრომელს მალულად.

— ხელები ისეთ დღეში აქვს, დღეს საღამომდე ვერ მოვა, იმდენი ურტყეს იმ მკვლელს და გარეწარს, სანამ ყველაფერი არ აღიარა.

— ესეც ჩაიყვანეთ დაბლა მის მოსვლამდე და დღეს ამას ჩაუტარონ კრივის გაკვეთილები. წავედი, გოგი, პირადად დავკითხავ მარტიკიანს.

თოხლა ჯემალმა ელემენტალური „კუკლა“, წამოეგო ანკესზე და ღამის ტირილი დაიწყო, რაც ვიცი, ყველაფერს გეტყვით, ოღონდაც ნუ დამიჭერთ და ცოლს ნუ გამიუპატიურებთო.

— აგერ კალამი, აგერ ფურცელი. რამე არ გამოგრჩეს ისეთი, იმან რომ თქვა, თორემ არგახსენებისთვის მეტი მოგიწევს. — უთხრა სოსომ და გოგისთან ერთად ოთახი დატოვა.

ეზოში ჩავიდა გამარჯვებულის სახით, ხუთწუთიან დასვენებას აპირებდა, მაგრამ ვინ აცალა, მდივანმა შემოუთვალა, მილიციის უფროსი გიბარებსო.

— სოსო, პირველადი მონაცემები თითქმის ყველაფერია.

— მკვლელობის იარაღი ვერ ვიპოვეთ ჯერჯერობით.

— ნაპოვნია, სოსო, ყოჩაღ შენს ბიჭებს ახლახან მოიტანეს. - ცალკე მაგიდაზე დადებულ ნაჯახზე მიუთითა, რომელსაც ამდენი ხმის მანძილზე თოვლში გდების მიუხედავად, სისხლის კვალი მაინც შერჩენოდა.

— სად უპოვიათ თამაზ ვახტანგიჩ?

— თოვლში იყო. არ ჩანდა, ფეხი წამოუკრავს ერთ-ერთს. მთავარია, ექსპერტი რას იტყვის.

— ერთი ეჭვმიტანილი მყავს ოთახში, აჭარელი ბიჭია. კალამი და ფურცლები მივეცი, ანკესიც გადაყლაპა. ასე იცის, რომ მარტიკიანი სასტიკად ვცემეთ, ყველაფერი ვაღიარებინეთ და ახლა საკანში გვყავს გამომწყდეული.

— მოგვიანებით შემოვალ, რამდენიმე კითხვა მექნება მასთან.

8 საათი სრულდება. პროკურატურასა და მილიციაში სინათლე არ ქრება. კრიმინალური სამყაროც სოლიდარობას უცხადებს სამართალდამცავებს. რაიონში ქურდობის ყაჩაღობის, დაჭრის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ჩხუბი მოსული ამბავია. მოჩქუბრებს მილიციაში წამოარტყეს თავზე და გამოაგდეს იქიდან.

მამუკა გოგუა გამომძიებელს ელოდება, ახალი ინფორმაცია ექნება. ისევ ფანჯარაში იცქირება. ქუჩები წყლითაა სავსე... ფიქრში წასულს სტუდენტობა და მისი თანაკურსელი, ხულოს პროკურორი ხასან ირემაძე გაახსენდა. ჯოვ, მამუკა, ჩვენში ასე ამბობენ, თოვლი მოვდეს და წყლად წავდესო. გიგიგია? გაეღიმა, გაახსენდა სტუდენტობისას ბიძამისთან ერთად ცხოვრობდა თბილისში, ნათესავთან, ოთხ კაცს ეძინა 12-კვადრატულმეტრიან ოთახში. საღამოს სწავლებაზე სწავლობდა. ლექციები შვიდზე ეწყებოდა და ათის ნახევარზე უმთავრდებოდა. დილის ექვს საათზე სამსახურში გადიოდა, კონდუქტორად მუშაობდა ტრამვაის ხაზზე... მძიმე წლები ჰქონდა... ფიქრი გამომძიებელმა შეაწყვეტია.

— ენვერიჩ, დღეს მოქალაქე შალვა შავგულიძე დავკითხე. ინფორმაცია დიდი არაფერი, მაგრამ მითხრა, რომ მარტიკიანს ყველაზე ხშირად ჯემალ ანთიძე სტუმრობდა. თითქმის ყოველდღე დადიოდა, შუაღამითაც დამინახავს იმ სახლიდან გამოსულიო. ამ ფაქტს აღნიშნავენ და ადასტურებენ სხვა მოწმეებიც: მუხამედ ბროლაძე, რევაზ მჟავანაძე და ნისიმე თავდგირიძე. ამ მოწმეებმა ისიც თქვეს, ჯემალი ხშირად გვიქებდა ოვანესის სტუმრებს, კარგი ქალები არიან, ტანსაცმელს გვაძლევდნენ საჩუქრადო.

— რა ტანსაცმელს? — დაიძაბა პროკურორი.

— ქალები რაღაც ტანსაცმელს უგზავნიდნენ ოჯახებს, ისინიც ეხმარებოდნენ ამათ ხან შეშის დაჩეხვაში, ხან სახლის დათოლვაში, ფულს აძლევდნენ და პროდუქტებით ამარაგებდნენ.

— მაგარია, სერგო. ხვალვე ის ანთიძე დაკითხე.

— დილას ავალ, ან შევუთვლი.

— ხვალამდე...

ღამის 12 საათია. სამძებროს უფროსი განგებ არ შედის ოთახში, ფიქრისთვის დროს აძლევს ანთიძეს. ბოლოს შევიდა. დაეწერა, უფრო სწორად, დაეჯღაბნა, ძნელად იკითხებოდა ჯემალის ნაწერი.

— რა ნიშანი გქონდა სუფთა წერაში?

— არ მახსოვს, უფროსო.

— რა გექნებოდა და ორიანი, რა დაწერე, რაა ეს?

ჯემალს ეგონა, იმას მსაყვედურობს, რატომ მეტი არ დაწერეო და დამფრთხალმა უთხრა:

— მეტი არ გამახსენდა უფროსო, გევიხსენებ და კიდომ დავწერ.

გულდასმით წაიკითხა სოსომ ნაწერი, ალღომ აქაც არ უმტყუნა და სწორ გზაზე გაიყვანა. აი, რა ეწერა ახსნა-განმარტებაში: „ოვანესმა დამიმეგობრა და „პრავერკების“ შემდეგ მომცა ტანსაცმელი, ზოგი გასაყიდად, ზოგი საჩუქრად. მითხრა, რომ ეს ტანსაცმელი ქალებისაა, ფულიანი მამები ჰყავთ და ბევრს ყიდულობდნენ მათთვის, ახლა ამდენი აღარ უნდათ და ყიდიანო. მთხოვა, შენც სარგებელი გექნება, დაეხმარე ქალებს ამ საქმეში, თუნდაც სოფელში მოგიწიოს წასვლაო. ამ მიზნით ერთხელ უკვე ვიყავი აწარაში, მშობლიურ სოფელში, თოვლის დნობის შემდეგ კიდევ კიდევ უნდა ავსულიყავი. ტანსაცმლით სავსე სამი დიდი ჩანთა ახლაც ჩემთანაა სახლში, ორი გავყიდე და გავაჩუქე“.

სიამოვნებდა სოსოს, რომ ეს დაკითხვა უხმაუროდ, ცემა-ტყეპის გარეშე დამთავრდა. ახლა მილიციის უფროსს ელოდებოდა, რომელიც შეპირდა, შემოვივლიო, მაგრამ რადგან საათის ისრები თორმეტს გადაცდა, მორიგეს თხოვა, ანთიძე ცალკე საკანში მოათავსეო, თვითონ კი სახლისკენ გაუყვა. გზაზე ნიაღვარი გადადიოდა, თოვლი დნებოდა, იწყებოდა ზამთრიდან გაზაფხულზე გადასვლის ყველაზე ცუდი პერიოდი, გრძელი ზამთარი ბოლო დღეებს ითვლიდა, თითქმის ორ მეტრამდე სიმაღლის თოვლი კი თვალსა და ხელს შუა დნებოდა და წყლად ქცეული, ღელეებს უერთდებოდა...

იჩქარე ნელა — ამ პრინციპით მუშაობდა სამძებრო განყოფილება. პროკურატურაში ბარემ 5 დიდი ტომი შეიკერა მოწმეთა ჩვენებებით, მაგრამ მთავარი, ეჭვმიტანილებისა და მათი სტუმარი ქალების კვალი არსად ჩანდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ამის დამნახველი კაციშვილი ვერ იპოვეს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი სოფლის მოსახლეობა დაკითხეს. ხულოდანაც არ ისმოდა ახალი არაფერი. ცხადი იყო დამნაშავეები სადღაც თავს აფარებდნენ, ან რაიონში აღარ იყვნენ უკვე. მინიმუმამდე დავიდა შანსი, რომ ისინი აჭარის მაღალმთიან რაიონში ავიდოდნენ, რადგან ჯემალ ანთიძის გარეშე იქ ვერანაირად ვერ მოხვდებოდნენ, ჯემალი კი, როგორც ეჭვმიტანილი, დაკავებული ჰყავდათ, რაც დამნაშავეებისთვის ცნობილი იქნებოდა.

(გაგრძელება იქნება)

რატომ აწარმოებენ საქართველოში უფრო ნაკლებ ბოსტნეულს, ვიდრე აზერბაიჯანსა და სომხეთში - ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაციის განმარტება

ფერმერებში ცნობიერების დაბალი დონე ახალ ტექნოლოგიებთან მიმართებით, ნაკლები ტექნიკა და სამაცივრე მეურნეობების სიმცირე - ეს ის მიზეზებია, რასაც ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაცია საქართველოში ბოსტნეულის წარმოების დაბალ მაჩვენებლად ასახელებს.

ცნობისათვის, 2019 წლის მონაცემებით, საქართველო აზერბაიჯანზე 10,6-ჯერ, სომხეთზე კი 3,3-ჯერ ნაკლებ ბოსტნეულს აწარმოებს. ეს მონაცემები ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაციამ -ს სტატისტიკაზე დაყრდნობით გამოაქვეყნდა.

„მიზეზი, რის გამოც მკვეთრად ჩამორჩება ჩვენი სოფლის მეურნეობის სექტორი მეზობელ ქვეყნებს, კომპლექსურად უნდა განვიხილოთ. ერთი კონკრეტული ფაქტორი, ნამდვილად არ არის შემაფერხებელი. ხშირად, პრობლემად სახელდება ის, რომ საქართველოში ძალიან ბევრი მცირე მიწიანი ფერმერი გვყავს. ჩვენთან, ფერმერად ითვლება ადამიანი, რომელიც 1.15 ჰა აქვს, როცა ევროპის ქვეყნებში მხოლოდ 60 ჰექტარიდან აქვს ეს სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის დიდი განსხვავება არ არის 1.50 ჰა არის საშუალო მიწის ფართობი, აზერბაიჯანში 5 ჰა. ამიტომ პრობლემა სხვაგანაა და ეს არის ფერმერებში ცნობიერების დაბალი დონე ახალ ტექნოლოგიებთან მიმართებით. სამწუხაროდ, ჩვენთან ადამიანები, რომლებიც მიწათმოქმედებაში არიან ჩართული, ჯერ კიდევ ხელმძღვანელობენ ცოდნით, რომელიც კომუნისტური დროიდან მოჰყვებათ. მათი დიდი უმეტესობის ასაკი 50 წელს ზემოთაა და როგორც მიჩვეულები არიან, ისე აგრძელებენ საქმიანობას, გუთნით, ბარით და ა.შ. ძველებური მეთოდებით. ეს ბუნებრივია, იწვევს მცირე მოსავლიანობას.

გარდა ამისა, არის წმინდად ობიექტური ფაქტორები. მაგალითად, სარწყავი სისტემების არარსებობა, რის გამოც აქციები ალბათ, ახსოვს საზოგადოებას არაერთ სოფელში. ეს კვლავ რჩება მოუგვარებელ პრობლემად ქვეყნის დიდ ნაწილში. ასევე ტექნიკაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა. მაგალითისათვის, ფერმერებს, რომლებსაც მოჰყავთ მარცვლეული, ხშირად ექმნებათ პრობლემა, ვერ შოულობენ კომბაინს და ამით ირღვევა მკის ვადები და კარგავენ მოსავალს. იქ კი, სადაც ტრაქტორია საჭირო, ისევ ძველი, „ბალურსის“ მარკის ტექნიკა ჰყავთ.

საქართველოში სასათბურე მეურნეობა არც თუ ისე კარგადაა განვითარებული. თითზე ჩამოსათვლელია მაღალტექნოლოგიური სათბურები.მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში ამისთვის იდეალური კლიმატია. უკვე მოსავლის მიღების შემდეგ კი, ფერმერებს აქვთ შემნახველი სამაცივრე საწყობების პრობლემა. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადამიანებს მოჰყავთ მოსავალი და მყისიერად თუ არ მოხდა რეალიზაცია, ისინი დიდ ზარალს ნახულობენ. ყველა პრობლემა კომპლექსურად ბუნებრივია, ფერმერებს აკარგვინებს მოტივაციას“,-აცხადებენ ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაციაში.

სწრაფი ტექსტები სავაჭრო ობიექტებში

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი სახოკიას ინიციატივითა და მხარდაჭერით, კორონავირუსის გავრცელების აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარების კამპანია რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს. რწმუნებულის გადაწყვეტილებით, ყველა იმ სავაჭრო ობიექტზე, სადაც მომუშავე პირთა რიცხვი ოცდაათი და მეტია, თანამშრომლებს სწრაფი, ანტიგენზე დამყარებული ტესტირება სამუშაო ადგილზე უფასოდ უტარდებათ.

გურიაში ტესტების გაკეთება ათ ლოკაციაზეა შესაძლებელი. რეგიონში დღეში, საშუალოდ, 500-600 ადამიანს უტარდება სწრაფი ტესტირება.

სამგლოვიარო განცხადება

- გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს შოთა ცხომელიძეს ძმის **ვალერი ცხომელიძის** გარდაცვალების გამო.

სკანვორდი



პასუხები:

ანა – ათასერთ ღამე; „ვადიდებ“ – ბერძნული ანბანის ოცდამეთერთმეტე; ქალაქი – ქუთაისი; ალიკა – ალიკა ფეფელაშვილი; ი. ჭავჭავაძის მეუღლე – ნინო; ალბერტ – ალბერტ ეინშტაინი; ალბერტ – ალბერტ ეინშტაინი; ალბერტ – ალბერტ ეინშტაინი

გურიის რესპუბლიკა

ხელისუფლების ღონისძიებანი გურიაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით

ДАСАЗГЗИСИ ИЬ. „АЛИОНИ,“№34-35, 1-2.

იბეჭდება მექსკლუზიური უფლებით



ჩვენი სუფთა სინდისი ჩვენივე საზრუნავია (...). ჩვენთვის აუცილებელია განათლება, აუცილებელია წიგნებისა და გაზეთების კითხვა, ამას ახლა ყველა აღიარებს. განათლება აუცილებელია, როგორც ჰაერი, წყალი და პური. გაუნათლებელი ადამიანი ცხოვრებაში გამოუსადეგარია. განათლება კი ჩვენთვის მიუწვდომელია, რადგან არსებული მთავრობა მთელი ძალებით ცდილობს, რომ ჩვენ სიბნელეში გვამყოფოს. თუ არა ამ მოსაზრებით, მაშინ რით უნდა აიხსნას ის, რომ ჩვენ უარი გვეთქვა ჩვენი ხარჯებით გაგვეხსნა სკოლა? ჩვენ მოვითხოვთ, რომ განათლების საქმე დაყენებული იქნას სათანადო სიმაღლეზე, ესეიგი 16 წლამდე ასაკის ბავშვების განათლება სქესის, წოდებისა და ეროვნების განურჩევლად იყოს სავალდებულო და უფასო. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების მიღება უნდა შეეძლოს ყველას (...). ჩვენ, გლეხებსა და მუშებს, არა გვაქ უფლება შევიკრიბოთ და ჩვენი გასაჭირის შესახებ ვიმსჯელოთ. ამგვარი შეკრებები აკრძალულია. რატომ არა გვაქ ჩვენ უფლება ვისაუბროთ ჩვენი გასაჭირის შესახებ? (...) ჩვენ მოვითხოვთ შეკრების თავისუფლებას (...). ჩვენ გვეკრძალება გაფიცვა, ჩვენ მოვილაპარაკეთ: „სხვის მამულებში წინანდელი პირობებით არ ვიმუშაოთ". საქმეში პოლიცია ჩაერია და ძალა გამოიყენა (...). ჩვენ მოვითხოვთ ციხეებში და გადასახლებაში მყოფი ამხანაგების დაუყონებლივ განთავისუფლებას (...). ჩვენ მოვითხოვთ წოდებათა გაუქმებას და კანონის წინაშე ყველას თანასწორობას. უნდა არსებობდეს ერთი მოქალაქეობა და არა რაღაც განსაკუთრებული წოდებები. ჩვენ არა გვაქვს მართლმსაჯულება. არსებული სასამართლო უსამართლობაზეა დამყარებული. ვისაც საშუალება აქვს მოისყიდოს მოსამართლეები, ისინი ყოველთვის მართალნი გამოდიან. გარდა იმისა, რომ სასამართლოში მექრთამეობაა, იქ საქმეები განუსაზღვრელად ჭიანურდება! სრულიად უბრალო საქმის გადაწყვეტა რამდენიმე წლის მანძილზე ჭიანურდება. ამის გამო ჩვენ მოვითხოვთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას, სადაც ნაფიცი მსაჯულები არჩეული იქნებიან საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით.

ლანჩხუთი

დეპუტატი: სამღვდელოება გასამრჯელოს ხაზინიდან იღებს, ამით არ კმაყოფილდებიან და ჩვენგანაც იღებენ გადასახადს. დაე, მღვდლები შეინახონ იმათ, ვინც მათგან სულიერ დამოძღვრას საჭიროებს. მე და ჩემნაირი მოხუცები ვფიქრობთ, რომ მღვდლები ჩვენ ღმერთს გვიცვლიან. დავრწმუნდით, რომ ისინი ცხვრის ტყავში გადაცმული მღვდლებიარიან. პირად ცხოვრებაში მღვდლები ჩვენ მორჩილებასა და მონობას გვიქადაგებენ და ვიყავით კიდეც მონები, ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ და ჩვენს ბავშვებს სკოლაში ადრეული ასაკიდანვე მორჩილებასა და მონობას უქადაგებენ, რითაც ცნობიერებას უბნელებენ.

ჩოხატაური

დეპუტატი: ჩვენ გვსურს და კიდეც შეგვიძლია ვიშრომოთ, მაგრამ არა გვაქ მიწა. უმიწობამ ჩვენ გვაიძულა სხვის მამულებში ვიმუშაოთ და ასე მოვიპოვოთ პური ჩვენი არსობისა. ჩვენ მივმართავთ მემამულეს, რომელიც უკანონოდ ფლობს უზარმაზარ მამულს და ვთხოვთ გამოგვიყოს მიწა ნათესებისათვის. მემამულემ იცის ჩვენი უკიდურესი გაჭირვების შესახებ, რის გამოც მძიმე პირობებს გვიყენებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს და ვთანხმდებით ამ პირობებით მუშაობას. ჩვენ მემამულეს ვაძლევთ მოსავლის ნახევარს და კიდევ 1 მანეთს 1 ქცევა მიწაზე. ასევე უნდა მივართვათ სადილი მემამულესა და მისი მამულის მმართველს. მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ამ პირობებში მუშაობა ჩვენთვის უშედეგოა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი შრომის შედეგს იყენებენ მუქთამჭამელები, ჩვენ კი შიმშილით ვიხოცებით. ჩვენ ვიცით, რომ მიწა ბუნების ძალამ შექმნა და არა ადამიანმა და თუ ზოგიერთები ამ მიწით მდიდრდებიან ეს ძარცვისა და ძალადობის ხარჯზე ხდება. ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ იმ ზომების მიღება გადავწყვიტეთ, რომელიც ჩვენს ხელთ იყო. ერთმანეთთან მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ მემამულის მიწის დამუშავებაზე უარი გვეთქვა. ეს მოქმედება გაფიცვად შეაფასეს და გამოდის, რომ ჩვენ გაფიცულები ვართ. მემამულეებს, რომლებიც ჩვენი შრომის ნაყოფით სარგებლობას მიეჩვივნენ, ცხადია, ჩვენი გაფიცვა არ ესიამოვნათ, რადგან მათი მიწები დაუმუშავებელი დარჩა. ზოგიერთი მემამულის გარდა, დათმობა არავინ ისურვა. საქმეში ჩაერია პოლიცია. ჩვენ, გამოუცდელები, ვფიქრობდით, რომ პოლიცია მართალის მხარეს დაიჭერდა, მაგრამ მწარედ მოტყუებულები დავრჩით. მოვიდა პრისტავი კვიტაიშვილი და ჩვენ ხელწერილი ჩამოგვართვა, რომლის ძალითაც მემამულის მიწაზე ძველი პირობით უნდა გვემუშავა. ვინც ხელწერილი არ დადო, ციხეში ჩასვეს. რაც უფრო გვავიწროებდნენ, ჩვენ მით უფრო მყარად ვიდექით დადებულ პირობაზე. ერთხელ პრისტავმა ქუდების გარეშე დილიდან საღამომდე მზეზე დაგვაყენა. გარშემო სტრაჟნიკები იდგნენ. ასეთი ღონისძიებები უშველის ჩვენ გასაჭირს? საქმე ამით არ დასრულებულა. მოვიდა ვჯაფარიძე (ოზურგეთის მაზრის უფროსი – ვ. გ.) დაგვაპატიმრა და თან გაგვაფრთხილა: შინ მანამ არ გაგვიშვებდა, სანამ მემამულის მიწაზე ძველი პირობებით მუშაობას არ დავთანხმდებოდით.

სურები

დეპუტატი: როცა მშრომელ ხალხს თავისი მდგომარეობის შესახებ საუბარი სურს, მას შინაურ მტრად აღიქვამენ და ჩვენივე შვილების იარაღს ჩვენ წინააღმდეგ მომართავენ. ჩვენ მოვითხოვთ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ჩვენ ხმა ავიმაღლეთ და ჩვენი გასაჭირის შესახებ განვაცხადეთ და აი, შინაურ მტრად გამოგვაცხადეს და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ნაცვლად 600 კაზაკი გამოგვიგზავნეს. აი, ასე დააკმაყოფილეს ჩვენი სამართლიანი და კანონიერი მოთხოვნები.

ნიგოითი

დეპუტატი: ჩვენ გაგვათავისუფლეს იმ მონური მდგომარეობიდან, რომელსაც ბატონყმური დამოკიდებულება ეწოდება. ბატონყმური მდგომარეობა კანონით გაუქმებულია. მაგრამ იგი ნამდვილად გაუქმებულია? მემამულეებმა პირადად შეადგინეს გლეხებისათვის მიწის გადაცემის სიგელები ისე, რომ საუკეთესო მიწები თვითონ დაიტოვეს, ხოლო უვარგისი და უნაყოფო მიწები ჩვენ მოგვცეს. რისთვისაც ათწლეულების მანძილზე გამოსასყიდს ვიხდით. ხალხმა მაშინვე ამოიცნო ეს მაქინაცია და ერთობლივი მოქმედების შესახებ ფიცი დადო. მემამულეებმა მაშინაც და დღესაც დაუყონებლივ მიმართეს პოლიციას, რის შედეგადაც ბევრი გლეხი დაისაჯა.

ასკანა

დეპუტატი: ჩვენ მოვითხოვთ წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას. აღარ იყოს აღარც თავადი, აღარც მემამულე და აღარც გლეხი. ყველა ადამიანი ერთნაირია და ცხოვრების ერთნაირ პირობებს მოითხოვს. წოდებები უნდა გაუქმდეს და კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ გურიის სოფლებში გლეხობისაგან მოსმენილი საჩივრები და თხოვნები განაზოგადა და 14 პუნქტად ჩამოაყალიბა:

1. საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაცია და მისი მშრომელი ხალხისათვის უფასოდ გადაცემა;

2. დროებითი ვალდებული გლეხებისათვის მათ სარგებლობაში არსებული მემამულისა და სახელმწიფოს კუთვნილი მიწების უფასოდ გადაცემა. გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვის მიზნით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება;

3. აგრარული რეფორმის გატარების მიზნით გლეხთა კომიტეტების არჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით;

4. ყველა არაპირდაპირი გადასახადის მოსპობა და შემოსავალზე პროგრესული გადასახადის დაწესება. კომლი, რომლის წლიური შემოსავალი 500 მანეთზე ნაკლები იყო, დაბეგვრისაგან უნდა გათავისუფლებულიყო;

5. წოდებათა გაუქმება და კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა. გადაადგილების თავისუფლება და საპასპორტო სისტემის გაუქმება;

6. მოსახლეობისათვის სასოფლო საზოგადოებებსა და ოკრუგებში თვითმმართველობის მოწყობის პროცესში სრული დამოუკიდებლობის მინიჭება;

7. სიტყვის, ბეჭდვის, შეკრების, კავშირების, გაფიცვის, სინდისის თავისუფლება;

8. პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა;

9. მოსამართლეთა და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მომუშავე მოხელეების ხალხის მიერ არჩევა;

10. რეგულარული არმიის გაუქმება და მოსახლეობის საყოველთაო შეიარაღების შემოღება;

11. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა. სამღვდელოების შესანახი ხარჯების მათთვის დაკისრება, ვინც სამღვდელოების მხრიდან მომსახურებას საჭიროებდა;

12. საერობო სკოლის შემოღება. სამღვდელოების იზოლირება სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესისაგან;

13. ორივე სქესის 16 წლამდე ბავშვების საყოველთაო და უფასო განათლება;

14. რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველას, სქესის, ეროვნებისა და აღმსარებლობის განურჩევლად.

ცხადია, გურიის გლეხობის მიერ შემუშავებული მოთხოვნების აბსოლუტური უმრავლესობა მიუღებელი იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის. ეს კარგად იცოდა, როგორც ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ, ისე კავკასიის უმაღლესმა ხელისუფლებამაც.

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება გურიაში

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის გურიაში მოგზაურობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ დროებით და ნაწილობრივ შეეძლო გლეხთა დამშვიდება. რევოლუციური მოძრაობა კვლავ გაძლიერდებოდა, როგორც კი ცხადი გახდებოდა, რომ მიღებული დაპირებები არ სრულდებოდა. გურიის მოსახლეობას ისიც აღიზიანებდა, რომ გენერალ-მაიორი **მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი** რიონის რაზმით **ნატანებში** იდგა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ხელისუფლება საჭიროების შემთხვევაში უკიდურეს ზომებს მიმართავდა და სისხლისღვრასაც არ მოერიდებოდა.

1905 წლის 25 თებერვალს ქუთაისის გუბერნატორი, გენერალ-მაიორი **ალექსეი სმაგინი** კავკასიის მთავარმმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ-ლეიტენანტ **იაკოვ მალამას** მოახსენებდა:

1. 1905 წლის დამდეგიდან ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში დაწყებული მოძრაობა მალე ქუთაისისა და სენაკის მაზრებშიც გავრცელდა, ხოლო თებერვალში ზუგდიდისა და შოროპნის მაზრებიც მოიცვა. არსებობდა საფრთხე, რომ იგივე მოვლენები გუბერნიის სხვა მაზრებშიც დაწყებულიყო;

2. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები გლეხების გადაბირებას მიმართავენ და მათ მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებენ;

3. სოციალ-დემოკრატების გავლენით რევოლუციური იდეები ინტელიგენციაშიც გავრცელდა;

4. გუბერნიისა და მაზრის ხელისუფლება არავითარ დახმარებას არ იღებს და სრულიად იზოლირებულია ხალხისაგან;

5. სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეები, განსაკუთრებით დაბალი რანგისა, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები არიან, ტერორისტებმა ისე დააშინეს, რომ თავიანთ მოვალეობას ან ფორმალურად ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალზე გაუბედავად ასრულებენ. მოხელეებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახერხებენ მოვალეობის შესრულებას, ტერორისტები მოკვლით ემუქრებიან და აიძულებენ სამუშაო ადგილი მიატოვონ;

6. მრავალი მოხელე ტერორის მსხვერპლი შეიქმნა, მათ შორის: ოზურგეთის მაზრის ერთ-ერთი უბნის პრისტავი ***კოსტავა,*** *ოზურგეთის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავადი* ***ნაკაშიძე,*** *ქუთაისის მაზრის სამტრედიის უბნის პრისტავი* ***ჩიკვილაძე*** *და სხვ.*

ქუთაისის გუბერნატორი ალექსეი სმაგინი იაკოვ მალამას სთხოვდა სასწრაფოდ შეექმნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც გუბერნიაში შექმნილ ვითარებას შეისწავლიდა.

1905 წლის 5 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა,** რომელიც ჯერ კიდევ პეტერბურგში იმყოფებოდა, გენერალ-ლეიტენანტ **იაკოვ მალამას** მოხსენების საფუძველზე შუამდგომლობა აღძრა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის, **ალექსანდრ ბულიგინის** წინაშე ქუთაისის გუბერნიაში და ბათუმის ოლქის **კინტრიშის** უბანში საგანგებო ღონისძიებების გატარების შესახებ. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა მინისტრმა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შუამდგომლობა აღძრა რუს-ეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტის წინაშე. მინისტრთა კომიტეტმა შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებები მიიწონა და თავისი დადგენილება ნიკოლაი II-ს წარუდგინა. იმპერატორის დასტურის შემდეგ 1905 წლის 22 თებერვალს მინისტრთა კომიტეტის დადგინა:

1. გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში, ასევე ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში;

2. კავკასიაში მთავარმმართებლის მოვალეობის აღმსრულებელს, გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას დაევალოს დროულად გაატაროს ღონისძიებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად;

3. გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას უფლება მიეცეს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ დანიშნოს თანამდებობის პირები და ამავე დროს უფლება მიეცეს გააუქმოს იმ თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, რომლებსაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენას ეხებოდა.

1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გურიაში რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა. 1905 წლის 15 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის უფროსმა **ი. ლაზარენკომ** ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელს **ვლადიმირ სტაროსელსკის** აცნობა, რომ ოზურგეთის მაზრაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მთლიანად ლიკვიდირებულია და მთელ ძალაუფლებას გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ფლობენ. კონკრეტულად მოხსენებაში აღნიშნულია:

(გაგრძელება იქნება)

(ვახტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918) გვ.339-342

თეოდორ შტორმი
ლექსები

ცნობილი ჟურნალისტი ვაჟა ჭანუყვაძე, რომელსაც პრესაში, სახელმწიფო სამსახურებში მუშაობის დიდი სტაჟი ჰქონდა, 1980 წლიდან იყო ოზურგეთის პოლიგრაფიული გაერთიანების დირექტორი. იგი წლების მანძილზე თარგმნიდა უცხოელ ავტორებს. გამოსცა რამდენიმე გერმანელი მწერლის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები. გაზეთ „ალიონის“ ფურცლებზეც დაიბეჭდა გოეთეს, ჰაინეს, შილერის მისეული თარგმანი.(„ალიონი“ №25, 2017 წ.) ამჟამად გერმანელი პოეტის და ნოველისტის ჰანს თეოდორ ვოლდზენ შტორმის (1817-1888) თარგმანს გთავაზობთ:



ვისაც ოდესმე ჩავარდნია გულს სიყვარული

ვისაც ოდესმე ჩავარდნია
გულს სიყვარული,
ნუ დაიჩივლებს, ის არ არის
სულაც ბედკრული,
თუმც სადმე მარტოს
დაულამდეს წუთისოფელი,
ხომ განუცდია სანეტარო
ტრფობის წუთები,
როცა ტკბებოდა საყვარელი
ქალის ტუჩებით?
სატრფო სიკვდილშიც მისი
არის განუყოფელი.

მარტი

მარტი დადგა და ენძელა
აღმოცენდა სულ პარპაშით,
ჯერ გრილა და მეშინია
არ გაცივდეს თეთრ კაბაში.

დილით

აბა მაჩუქე დილის ამბორი,
გეყო დამირჩი რაც
მოსვენებით,
და ეგ სალუქი ფუფუნიები
შეამკე აზიზ შესამოსლებით.
ჩამოიშურე შუბლიდან
ჭმუნვა,
ცუდი სიზმრების ფერკმთალი
კვალი,
კარგა ხანია გვეალერსება
ციურ მნათობის ელვარე
თვალი.
ყვავილებს, შენი ბაღის
ყვავილებს
ამკობ მზის სხივის ოქროს
ზარნიში,
ელიან შენი ხელით დაკრეფას
და სული მისდით ამ
მოლოდინში.

დებულება

დღისით და მზისით
დაეთხოვე ტრფობის ძიებას,
სიყვარული ხომ ყველაზე
მფრთხალ ქალის ქცევას ჰგავს,
ნამდვილი სახის გამოჩენის მას
ერიდება
და გამოცანად დაგიტოვებს ის
საკუთარ თავს.
მხოლოდ, როდესაც ჩამოწვება
მთებზე დაისი,
წამოიშლება უნაზესი ფიქრთა
კრებული,
როცა ბინბუნდი ტკბილ
ოცნების კალთას გაიშლის,
და ყველაფერი შეიქმნება ფერ
დაკარგული...
ხელიც და ბაგეც გამბედავად
გადაიქცევა
და სანახევროდ არ ძნელდება
მიზნის მიღწევაც.

X XX

თუმცა სიტყვებით არ გსურს
გამენდო,
მგრამ კოცნით კი მკოცნი
უსრულოდ,
და წრფელი გულის მძლავრი
გუგუნი
თვითონვე ამხელს შენს
საიდუმლოს.
გარბიხარ ჩემგან დაფრთხალი
მტრედი
და მაინც მკერდზე მეკვრები
მაგრად,
შენ სიყვარულის მოპარვა
გინდა
და არ გჭირდება სიტყვების
ქარგა.
აშოლტილ სხეულს შორს
ისვრი
ჩემგან,
ბაგე კი მოცნის კვლავ
გამალებით,
თავის დაღწევა გწადია, მაგრამ,
სიყვარულს ვერსად დაემალები.

დამიხუჭე ორთავ თვალი

დამიხუჭე ორთავ თვალი
ე,მაგ სათნო ხელებით,
მიყურდება ტკივილები,
როცა მომეფერები.
სხეულს შვება ეფინება,
გრძნობა იწყებს მატებას,
და სახლდება ობოლ გულში
შენი ტკბილი ხატება.

ქართველი ქალი, რომელიც „ბოინგს“ მართავს



გაიცანით, 28 წლის **მაგდა ქააძე,** რომელიც საქა-რთველოს საავიაციო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და უკვე ორი წელია, „ჯორჯიან ეარვეისში“ მუშაობს. საფრენოსნო ფაკულტეტზე ჩაბარება რომ გადაწყვიტა, მშობლებს წინააღმდეგობა არ გაუწევი-ათ. დღეს მაგდა „ბოინგს“ მართავს.

მაგდა ქააძე:

„14-15 წლიდან ვვარჯიშობდი კიკბოქსინგში, ვიყავი საქართველოს ჩემპიონი, ავიღე შავი ზღვის თასიც. ჩემი ძმა ჩემზე ორი წლით უფროსია. ისიც საფრენოსნო ფაკულტეტზე სწავლობდა. ბიძაშვილებიც მფრინავები მყავს. სკოლას რომ ვამთავრებდი, მივხვდი, რომ მეც პილოტობა მინდოდა. დედა მაინც და მაინც არ აღფრთოვანდა, ძმამ ჩვეულებრივად მიიღო, მამამ კი მითხრა, თუ გინდა, უნდა გააკეთოო.

გამოცდები ჩავაბარე, მეორე დღეს კი მამაჩემი თუშეთის გზაზე დაიღუპა... მამას ცხვრის ფერმა ჰქონდა და ჩემი ძმა იძულებული გახდა, სოფელში დაბრუნებულიყო და მეურნეობისთვის მიეხედა, რომ სწავლის გაგრძელება მე მაინც შემძლებოდა. თავდაუზოგავად შრომობდა და ცდილობდა, ოჯახიც ერჩინა და ჩემი სწავლის ფულიც გადაეხადა. დედა პროფესიით პედაგოგია, მაგრამ ახლა დიასახლისია, ძმა უკვე გამოცდილი ფერმერია, ქმარი კი ჯარისკაცია და თან მფრინავის პროფესიას ეუფლება. მფრინავობა ჩემი ბავშვობის ოცნება არ ყოფილა, მაგრამ ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთულია, მე მაინც ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო. რაც დრო გადის, ჩემი პროფესია უფრო მიყვარდება, თუმცა ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა. აუცილებელია მოთმინება, სწრაფი, ლოგიკური აზროვნება, შრომისმოყვარე უნდა იყო, პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გქონდეს - სხვანაირად ამდენი ადამიანის ბედს ვერ ინდობ. სწავლის პროცესიც არ არის ადვილი და დიდ მოთმინებას მოითხოვს. როცა ინსტრუქტორთან ერთად ხარ, გგონია, ყველაფერს გააკეთებ, მაგრამ მერე ხვდები, რომ თურმე მასზე იყავი დამოკიდებული...

ჩემს თავში კიდევ ბევრი ახალი რაღაც აღმოვაჩინე. მაგალითად, თურმე შემძლებია ხატვა, სუვენირების კეთება და საახალწლო მორთულობების შექმნა. ვფიქრობ, ვარ ძლიერი ქალი, რომელსაც ცხოვრებაში არაფრის შეეშინდება. ქალბატონებო და არა მარტო ქალბატონებო, ყველა სიძნელის დაძლევა შეიძლება, მთავარია მობილიზება და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი.“

ნინო მშვიდობაძის
ფეისბუკგვერდიდან.

ოზურგეთის „არწივები“ საჩემპიონო პლეი ოფში იასპარეზებენ

20 თებერვალს, ქ. ქუთაისში, „აიას“ სტადიონზე ოზურგეთის „არწივები“ წყალტუბოს „დინოზავრებს“ შეხდნენ. ოზურგეთელებმა წყალტუბოლოებს 26:14 სძლიეს. პირველი ლელო შეხვედრის მე-3 წუთზე გოჩა ჯიქიამ დადო. შემდეგ დათო დოლიძემ (ორი ლელო) და დათო ჩაუჩიძემ გამოიჩინეს თავი. სამი გარდასახვა უნაკლოდ შეასრულა ზურაბ ჟორჟოლაძემ და მეტად საჭირო 4 ქულა მოიპოვეს არწივებმა.

ამ მოგებით, „არწივებმა“ (7 მოგება, 3 წაგება) 31 ქულა დააგროვა და პირველი ლიგის „ბ“ ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავა.აქ ქულათა მაქსიმუმით (49 ქულა) პირველი სტეფანწმინდის „ყაზბეგი“ გახდა. მე-3 საგზური „ტაოს“ ერგო–28 ქულა. ისინი საჩემპიონო პლეი ოფში ზედა ექვსეულში იასპარეზებენ. მათთან ერთად „ა“ ჯგუფიდან თბილისის 2 გუნდი „არმია“,„ხვამლი“ და თელავის „ჭადარი“ იბრძოლებენ.

ზედა ექვსეულში გუნდებს ურთიერთშორის შეხვედრების ქულები გადაჰყვა: „ყაზბეგს“–4 მოგება-20 ქულა; „არმიას“ და „ხვამლს“ 3-3 მოგებით შესაბამისად 16 და 14 ქულა; „ტაოს“ და „არწივებს“თითო მოგებით შესაბამისად 5და 4 ქულა:არცერთი ქულა აქვს მე-6 ადგილზე მყოფ თელავის „ჭადარს“.

„არწივების“ შეხვედრების გრაფიკი ასეთია:

I წრე

7/03 „არწივები“ -„არმია“;
13/03 „ჭადარი“-„არწივები“;
20-21/03 „არწივები“-„ხვამლი“

II წრე

03-04/04 „არმია“-„არწივები“;
10-11/04 „არწივები“-„ჭადარი“;
17-18/04 „ხვამლი“ -„არწივე-

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი- -1+7	წვიმა -2+8	მზე +1+11	წვიმა +4+10	წვიმა +1+8	მცირე თოვლი- +2+8	წვიმა +2+7
25 თებერვალი ხუთშაბათი	26 თებერვალი პარასკევი	27 თებერვალი შაბათი	28 თებერვალი კვირა	1 მარტი ორშაბათი	2 მარტი სამშაბათი	3 მარტი ოთხშაბათი